



მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 იანვარი, 2016 წელი

დრო: 11:00 – 12:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, თავმჯდომარე, მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
3. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
4. მაკა გიგაური - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
5. არნოლდ სტეპანიანი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“
6. თამარ სურმავა - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
7. ალექსანდრა აროშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიენთიკური რესურსცენტრი“

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

განსახილველი საკითხები:

1. დასაქმებულთა უფლებები ჭიათურაში - მადაროების „სპეციალურ რეჟიმზე“ გადასვლა
2. შრომის კანონდებლობის აღსრულება საქართველოში - შრომისინსპექციის საკითხი
3. საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2016 წლის სამუშაოპრიორიტეტები
4. მეხუთე სამუშაო ჯგუფის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება
5. სხვა საკითხები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა დასაქმებულთა უფლებები ჭიათურაში. აღნიშნულ თემაზე, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ მოკლე პრეზენტაცია წარუდგინა ჯგუფის წევრებს.

როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ჭიათურის დამსაქმებლებსა და მთავრობასთან. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც თითოეულმა მხარემ აიღო რიგი ვალდებულებები. მათ შორის შეთანხმება, უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო პირობების უსაფრთხოების ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობა. ამისთვის უნდა დაიხუროს როგორც ჭიათურის (რაც ამ შემთხვევაში, ბუნებრივად მოხდა) ასევე ტყიბულის მადაროები, რათა განხორციელდეს შესაბამისი სამუშაოები.

ამასთანავე, ამ პერიოდში, დასაქმებულებმა მიიღონ ხელფასის 60%. რამდენადაც აღნიშნული თანხა ვერ ფარავს საარსებო მინიმუმს, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების თანახმად, მოხდება ამ თანხის შევსება, რათა დასაქმებულები საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმით იყვენენ უზრუნველყოფილნი. აღსანიშნავია ასევე, რომ პროფკავშირების ინტერესს არ წარმოადგენს ბიზნესის დაზარალება, ამდენად მათ შესთავაზეს ხელისუფლებას ამისთვის თანხები ბიუჯეტიდან გამოიყოს.

მნიშვნელოვანია ასევე რომ, დამსაქმებლებმა და მთავრობამ აიღეს პასუხისმგებლობა 20 მაისს გაიხსნას მადაროები, ამასთანავე უზრუნველყონ დასაქმებულთა მიერ შევსებულების უფლების კანონიერი გამოყენება. საგულისხმოა, რომ სასამართლო დავების შემთხვევაში კონკრეტული ინდივიდების სახელით იდავებს პროფკავშირები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საუბარი იყო ხელშეკრულებით მიღწეული ბენეფიტების მხოლოდ პროფკავშირების წევრებზე განვრცობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში საკითხი ყველა დასაქმებულის სასარგებლოდ გადაწყდა. როგორც ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, პირადად მისი მოთხოვნა იყო ასეთ ფორსმაჟორულ შემთხვევაში წევრებისა და არაწევრების მიხედვით დაყოფა არ მომხდარიყო.

მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა ასევე ისაუბრა 23 იანვარს დაგეგმილ სამმხრივი კომისიის შეხვედრაზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მაღალი რანგის სტუმრები ჟენევიდან, ჯანდაცვის მინისტრი, რომელიც ასევე კომისიის წევრია, განათლების მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, დამსაქმებლები და პროფკავშირები.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა დასაქმებულთა შრომით უფლებებსა და სხვა სოციალურ საკითხებზე, აქვე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროფკავშირების წვლილი ამ უფლებების მოსაპოვებლად.

ბატონმა ლაშა ტულუშმა, მიმოიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები და აღნიშნა, რომ პლატფორმას მთელი წლის განმავლობაში ექნება საშუალება აქტიურად გამართოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, შეიმუშაოს განცხადებები, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და რაც მთავარია, გამოიყენოს *საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს*

ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით გათვალისწინებული შესაძლებლობები და იმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების თანახმად, განიხილავს. მათ შორის მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ კოფერენციაში, რომელსაც ასევე დაესწრებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, გამართოს სექტორალური შეხვედრები, რაც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებთან დისკუსიისა თუ მრგვალი მაგიდების ფორმატში საკითხების განხილვას. მან ასევე გააცნო რეგიონალური წარმომადგენლობების დაარსების ინიციატივა, რაზეც შეთანხმება ამ ეტაპზე მიღწეულია და განსაზღვრულია მათი ადგილმდებარეობა, თუმცა კონკრეტული ორგანიზაციების შერჩევაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

პლატფორმის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, მემორანდუმის სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხის შესახებ, რომელიც კონრად ადენაურის ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდება, რაც გულისხმობს მათ მხრიდან ექსპერტის ჩართულობას და ამასთანავე შეთავაზა პროფკავშირების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ გეგმის შემუშავებაში და წარადგინონ საკუთარი ხედვები.

შეხვედრაზე საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა, ქალბატონმა რაისა ლიპარტელიანმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა მოკლე პრეზენტაცია თემაზე: შრომის კანონდებლობის აღსრულება საქართველოში - შრომის ინსპექციის საკითხი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰარმონიზაციის პროცესების წარმატებით განხორციელებისათვის სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. საგულისხმოა, რომ იმ საკითხების პრაქტიკაში განხორციელება, რაც კანონმდებლობით დარეგულირდა კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა. მაგ: ზეგანაკვეთური შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების საკითხი, ხელშეკრულების ვადები, ფორმები და სხვა, რაც ხშირ შემთხვევაში თანაბრად ირღვევა როგორ კერძო ბიზნესის ასევე საჯარო დაწესებულებების შემთხვევაშიც.

მან ასევე ისაუბრა შრომის ინსპექციის ხარვეზებსა და გამოსწორების შესაძლებლობებზე. რამდენადაც გამოწვევები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ რჩება, პრეზენტატორმა ჯგუფის წევრებს შესთავაზა სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების გაათვალისწინება.

შეხვედრის დასკვნით ეტაპზე ჯგუფის წევრებმა განიხილეს ჯგუფის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, მათ შორის შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ღონისძიებების განხორციელება, პლატფორმის ორგანიზაციების ინფორმირებულობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფის შეხვედრების გამართვა, ასევე ჯგუფის გაფართოება და სხვა.

როგორც პროფკავშირების თავმჯდომარემ აღნიშნა სამოქმედო გეგმა იანვრის ბოლოს პლატფორმის სამდივნოს გამოეგზავნება.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.